№ 198 20 ნოემბერს, კვირა | 1866—1877 | 20 ნოემბერს, კვირა № 198

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა დიდის ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ორი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე"

1 ნოემბრიდამ

ამ 1877 დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების" რედაქციაში (ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების" აგენტებთან.

ფასი ორი თვის გაზეთისა—2 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

# ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

**ბოგოტი,** 16 ნოემბერს. ვრაციდამ ორხანიესაკენ გაგზავნილი იყო სამი ესკადრონისა და გვარდიის ბატარეისაგან შემდგარი ატრიადი იმ განზრახვით, რომ ორხანიეში შეეჩერებინათ მტერი, რომელიც პროვაცის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა. ერთი ნაწილი ამ ატრიადისა ამ თვის 10-ს ნოვაჩინისაკენ წავიდა, მერე ლიუტაკოვამდინ მივიდა. ამ უკანასკნელმა ატრიადმა, ბუღის გამო, ისე აუარა გვერდით ოსმალოს ციხეს, რომ ვერც კი შენიშნა ეს ციხე. ცოტა ხანს შემდეგ წინიდამ 700 ცხენოსანი ჩერქეზი მოადგა ამ ჯარს და უკანიდამ ციხიდამ გამოსული ქვეითა ჯარი ოსმალებისა. ამის გამო ჩვენი ჯარი ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ იძულებული შეიქნა კლდეზედ გადაეგდო და დაემტრია ორი ზარბაზანი, მტერს რო არ ჩავარდნოდა ხელში.

ამ ატრიადის ხუთ აფიცერში სამი გმირულის სიკვდილით მოკვდა და ორიც მძიმედ დაჭრილები გადარჩნენ; ამას გარდა ხუთი სხვა აფიცერიც დაჭრილია.

180 სალდათში 143 მოგვიკლეს ოსმალებმა, 24 დაგვიჭირეს და ორიც უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ერთი ჩვენი ზარბაზანი მტერს (ჩერქეზებს) ჩაუვარდა ხელში.

თუმცა თითქმის მთელი ატრიადი დაიხოცა, მაგრამ ამან თავის დანიშნულება მაინც შეასრულა: მტერი იმ დღეს პროვაცის მისაშველებლად ველარ გაელაშქრა.

# ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

უცხო ქვეყნის გაზეთებში, სხვათა შორის, ფრანცუზულს „Le Temps"-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 11 ნოემბერს სტამბოლიდამ მიღებული:

„დევე-ბოინთან გაჩერებულ რუსის ჯარის სარდალმა წიგნით აცნობა მუხთარ-ფაშას ყარსის აღება, ყარსთან მყოფი რუსის ჯარის არზრუმისაკენ წამოსვლა და ამასთანავე წინადადება მისცა, რომ არზრუმი დაუთმოს იმას, თუ არ ჰსურს, რომ ეს ქალაქი ყუმბარებით დანგრეულ იქმნეს. მუხთარ-ფაშამ უარი განაცხადა ამ წინადადებაზე."

—

ამავე საგნის შესახებ ლონდონის გაზეთს „Daily News"-ში იწერებიან 12 ნოემბერს არზრუმიდამ:

„თუმცა რუსებს ახალი ჯარები მოუვიდათ ყარსიდამ დევე-ბოინში, და თუმცა რუსის კორპუსის სარდალმა ღენ. გეიმანმა წინადადება მისცა მუხთარ-ფაშას არზრუმის დათმობაზე, მაგრამ ეს ფაშა მაინც არ თანხმდება; იმედი აქვს, რომ არზრუმში გაუმაგრდება მტერს."

—

გაზეთს „ს.-პეტერბურგის უწყებებში" მოყვანილია სტამბოლიდამ 11 ნოემბერს მიღებული ეს დეპეშა:

„მმართებლობამ მოახდინა განკარგულება, რომ 150,000 ახალი ჯარი მოაგროვოს ევროპის და აზიის ოსმალეთში. ამ რიცხვიდამ 60,000 კაცი საკუთრივ მცირე აზიისათვის არის დანიშნული; მაგრამ ახლაც 15,000 კაცი ახალი ჯარი უკვე გაგზავნა პორტამ მუხთარ-ფაშის მისაშველებლად."

—

ესვე გაზეთი გვაცნობებს, რომ ყველა სასამართლოები და საზოგადოთ კანცელარიები, მთავრობის განკარგულებით, არზრუმიდამ ერზინგიანში გადაიტანესო. არზრუმის სოფტებს ორი ბატალიონი ვოლონტერები მოუგროვებიათ ამ ქალაქში.

—

„ჟენევის ჟურნალში" დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 3 ნოემბერს ბაიბურთიდამ მიღებული:

„არზრუმიდამ ამ უკანასკნელ დღეებში აქ კარგი ამბები მოგვივიდა. მეჰმედფაშა, პრუსიის კაპიტანი, რომელიც რუსებისაგან დატყვევებული ეგონათ, თავის ჯარითა და არტილერიით მშვიდობით მოვიდა აქ, ბაიბურთში.

„რუსებმა შეატყობინეს მუხთარ-ფაშას და არზრუმელებს, რომ არზრუმი დაგვითმეთო, თორემ ძალით ავიღებთ და სამის დღის განმავალობაში მთელს ქალაქს ავიკლებთო. ეჭველია, იმათი განზრახვა ის იყო, რომ ხალხი დაეფთხო. მაგრამ მუხთარ-ფაშამ შეუთვალა, რომ სანამ უკანასკნელი მეომარი დამრჩება, ქალაქს ნებით არ დაგითმობთო. არზრუმის ხალხიც ძალიან მხნეთ არის, თუმცა მდიდარი ვაჭრები კი ქალაქის დათმობას არჩევენ."

—

ყარსის აღების თაობაზე ინგლისის სამინისტრო გაზეთს „Standard"-ში იწერებიან:

„ეჭველია, რომ მცირე აზიის ბრძოლის საქმე უფრო დაახლოებით შეგვეხება ჩვენ, ინგლისელებს, ვინემ ბოლგარიისა. ყარსის აღებას ჩვენი ინტერესებისათვის უფრო მომეტებული მნიშვნელობა აქვს, ვინემ თვით პლევნოს აღებას ექნება და საზოგადოთ ბოლგარიაში ოსმალოების დამარცხებას.

„თუმცა ეს ასეა, თუმცა ყარსის აღებას ამ ომზედ დიდი ზედ-მოქმედება ექნება, მაგრამ ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ეს გარემოება სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს ოსმალოებს."

—

მეორე ინგლისური გაზეთი „Morning Post"-იც ამასვე ამბობს, რომ „მართალია, რუსებმა სომხეთის ბურჯი—ყარსი გამოაცალეს ოსმალოებსაო, მაგრამ ამით საქმე არ გათავდება და მორიგებას ჯერ კიდევ არ უნდა მოველოდეთო."

—

გაზეთის „Голосъ"-ის კორრესპონდენტი იწერება 11 ნოემბერს ვენიდამ:

„აქაურის გაზეთებისაგან ალექსანდროპოლიდამ მიღებული დეპეშები გვაცნობებენ, რომ რუსის ყაზახები აფუჭებენ არზრუმის გარშემო ტელეგრაფის მავთულებს. ამ ერთ კვირაში ყარსთან მყოფი რუსის ჯარის მომეტებული ნაწილი არზრუმს მიადგება."

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

სტამბოლიდამ „რეიტერის სააგენტოში" იწერებიან ნოემბრის 5-ს:

„რაჭინა-ფაშის კალონამ დაათვალიერა რუსების პოზიციები ყარა-ლომზე და ამ დროს დაეცა სოფელ ბერკოვცეს და განდევნა აქ დაბანაკებული მტერი. შემდეგ სულეიმან-ფაშამ გაუგზავნა რაჭინა-ფაშას ახალი ჯარები, რომელნიც ამ სოფელში გამაგრდნენ და დაბანაკდნენ.

„მეორე კალონამ ოსმალოს ჯარისამ დაამარცხა სამი ცხენოსანი პოლკი რუსისა, დაათვალიერა ამათი პოზიციები პაცელოვასთან, მოსტაცა სურსათით დატვირთული რამდენიმე ფურგუნი და მშვიდობით დაბრუნდა თავის ბანაკში."

ლონდონის გაზეთს „Daily News"-ში მოყვანილია სოფიიდამ 5 ნოემბერს მიღებული დეპეშა:

-„გასულ პარასკევს რუსები დაეცნენ ორხანიესთან ოსმალოების პოზიციებს; მაგრამ, როგორც დამარწმუნეს, დამარცხებულები და დიდის ზიანით უკან განდევნეს. მეჰმედ-ალი-ფაშა ეს არის სოფიაში მოვიდა ბოსნიის ჯარებით. ამ მოკლე ხანში აქეთკენ დიდ ამბებს მოელიან."

ბელგიური გაზეთის Indépendance Belge"-ის კორრესპონდენტი, რომელიც გასული ღვინობისთვის დამლევს დაბრუნებულა პლევნოდამ, ასე აგვიწერს ამ ქალაქისა და ოსმან-ფაშის ჯარის მდგომარეობას:

„თვითონ ქალაქი პლევნო საცოდავ სურათს წარმოადგენს: გაუწყნარებელი ავდრისა და წვიმების გამო, ქუჩებში და მაედნებზე ისეთი ტალახიდგას, რომ კაცს გავლა გაუჭირდება და პირუტყვები ეფლობიან.

„რაც სახლებია ახლა ამ პატარა ქალაქში, ყველგან სალდათები დგანან; ქოხებში შეფარებულან ერთად 20—30 სალდათი; დიდ სახლებში კი საავათმყოფოები აქვთ გამართული. ავათმყოფებისა და დაჭრილების რიცხვი ამ ჟამად იქ 5,000-მდინ იქნება. რაც შეიძლება კარგათ უვლიან და სწამლობენ ამათა.

„მე დამარწმუნეს, რომ პლევნოში იმდენი სასმელ-საჭმელი (საქონელი, პური, სიმინდი და სხვ.) არის მოგროვილიო, რომ ნოემბრის დამლევამდინ ეყოფა აქ დაყენებულს ჯარსაო. მით უფრო მჯერა ეს, რომ მე თვითონ წავსწრებივარ ოსმალოს სალდათის სადილვახშამზე და მინახავს, რომ საჭმელი სამყოფათა აქვთ, და თუ მალე შემოლევას მოელოდნენ, ოსმან-ფაშა ისეთი წინ დახედული კაცია, რომ მთელ-მთელ კერძს არ დაურიგებდა თავის სალდათებს.

„ჯარები ოსმან-ფაშას, ჩემის ანგარიშით, 40,000-მდინ ეყოლება; ცხენოსანი ჯარი კი სულ 3,000 კაცზე მეტი არა ჰყავს და ეს გარემოება ძალიან აბრკოლებს იმას.

„ოსმალოები ამბობენ, და ეს მეც მჯერა, რომ ყველა შეტაკებებში, რომელიც აქ ჰქონდათ ამათ რუსის ჯართან, რუსებს ორჯერ უფრო მომეტებული ზარალი მიეცათ, ვინემ ოსმალოებსაო."

„მოსკოვის უწყებების" უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 12 ნოემბერს ბერლინიდამ მიღებული:

„დღევანდელს* ქელნის გაზეთში" იწერებიან, რომ ესად-ბეიმ—ოსმალოს ელჩმა ვენაში—წინადადება მოსცა ავსტრიის მმართებლობასაო, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა მორიგებას თაობაზე შუამდგომლობა იკისროსო. ამბობენ, რომ ავსტრიამ უარი სთქვა ამ წინადადებაზე, რადგან მორიგებაზე ლაპარაკი ჯერ იმას უდროვოთ მიაჩნია."

# საქართველო

## დღიური

** ქალაქის რჩევამ გასულ ორშაბათის სხდომაზედ გადაწყვიტა, რომ ბრძოლის ველზედ გამარჯვებულს დიდ მთავარს დიდის ამბით დაუხვდეს. თუ როგორ და რა ცერემონიით უნდა შეეგებოს ქალაქი იმას, ეს რჩევამ ქალაქის თავს უფ. დ. ი. ყიფიანს მიანდო.

** დიდის ამბით დაასაფლავეს გუშინწინ ჩვენი ქალაქის საზოგადო გამგეობის პირველი თავი ლენ.-მაიორი იერემია არწრუნი. განსაკუთრებითი პატივის-ცემის ნიშნად ამქრებმა ჭირისუფლებს არ მისცეს ნება, რომ მიცვალებული ბალდახინით წაესვენებინათ სასაფლაოზე: თვითონ ხელით აიღეს და ისე მიასვენეს.

ამაზე ნაკლების დიდის ამბით არ გადაუხადეს პანაშვიდი ბრძოლის ველზე მოკლულს ლენ.-მაიორს ბრაბბეს, რომლის გვამი გუშინ რუსეთში წაასვენეს ჩვენი ქალაქიდამ.

** ხვალინდელს სხდომაზე ჩვენი ქალაქის რჩევას, სხვათა შორის, შემდეგ საინტერესო საგნებზე ექნება სჯა:

მომავალ 1878 წლის შემოსავალ-გასავალზე; ქალაქის გამგეობის მოხსენებაზედ ფაეტონების ტაქსის მომატების შესახებ; ხმოვანის უფ. ალადათოვის მოხსენებაზედ, რომ ქალაქში სიძვირე მოისპოს და აგრეთვე გაშინჯონ ვაჭრობაში ხმარებული საწყაოები და სასწორები; ამას გარდა უფ. დოქტორის მართანოვის მოხსენება ქალაქში სანიტარულ კომისიის დაარსების თაობაზე.

** ქახიდამ გვატყობინებენ, რომ გასულ კვირაში იქითკენ უთოვლია; მაგრამ პური კი ჯერს ბევრს არ დაუთესნია და ჩალთექებიც მოუმკელიაო. ღვინო საინგილოსაკენ წელს, კორრესპონდენტის სიტყვით, ბლომათ არის და ჩვეულებრივ ფასებზედაც უფრო ძვირათ ისყიდებაო.

ქახიდამვე გვწერენ, რომ აქაურს მაზრის სასწავლებელში სწავლა ძალიან სუსტათ მიდისო, რადგან ამ სასწავლებლის ზედამხედველი ერთობ ზარმაცად და გულ-გრილად ასრულებს თავის მოვალეობასაო; გათენებამდინ კარტს თამაშობს, შუადღემდინ სძინავსო და ამ ნაირად გაკვეთილებს ხშირად აკლდებაო.

** ბაქოდამ იწერებიან, რომ გირვანქა ნავთი ამ ჟამად იქ ექვს-შვიდ კაპეიკზე მომეტებულად აღარ ფასობს.

** ოზურგეთიდამ გვწერენ:

„13 ნოემბერს ოზურგეთის საზოგადოებამ, თ. მლად. ამილახვარის თაოსნობით, „წითელი ჯვრის" საზოგადოების" სასარგებლოდ, გამართა „ვეჩერი".

„ამ კეთილ მიზნისათვის იყო გამგებლად დანიშნული კნეინა სოფიო გურიელისა და მეუღლე ღენარლის შერემეტიევისა, რომელთა მიიღეს ყოველივე ზომა, დადიოდნენ თვითონ ფულების მოსაგროვებლად. ამ საქმეს თანაუგრძნეს, როგორც ოზურგეთის საზოგადოებამ, ეგრეთვე სამხედრო პირებმა, რომელნიც იმყოფებიან ბრძოლის ველზედ მუხა-ესტატეს. მიიღო აგრეთვე ენერგიული მონაწილეობა აქაურ პრისტავმა რ. ამაშუყელმა, რომელიც დადიოდა და ცდილობდა დღით და ღამით.

„ფული მოგროვდა რვაას მანეთამდი აქედამ დაიხარჯა მხოლოდ რვა თუმანი და დარჩა ნაღდათ ამ კეთილი საქმის დანიშნულების სასარგებლოდ შ ვ ი დ ა ს ო ც ი მანეთი (720 მ.), რომელიც გადაეცა ადგილობრივი პოლიციის საშუალებით ხსენებული საზოგადოების დანდობილ პირს თ. ამილახვარს.

„ვეჩერი" იყო სასტუმრო სახლში, „ბურიაში", რომლის პატრონებმა უთავაზეს უქირაოთ. შეკრებილი იყო დიდი საზოგადოება და დროებაც მხიარულად გაატარეს."

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ცხინვალი, 12 ნოემბერს.** ამ დროში თუმცა გასაკვირველი აღარა არის-რა, მაგრამ ამ ცხინვალის საქმე კი რომ გაიგოთ, სწორეთ გაგიკვირდებათ; აი რაზედ მოგახსენებთ:

მდინარე ლიახვი ცხინვალის სახლების წინ ჩამოდის. ყველას გაეგონება, ლიახვი რიონივით, არაგვივით და თითქმის თერგივით ჩქარი წყალია.

ამ წყალს მოუგლეჯია ცხინვალში დასავლეთის მხარეს სიგძით 15 საჟენამდინ ადგილი, გაუკეთებია 5 საჟენზე მეტი სიმაღლით ხრამი, ამასთანავე რამდენიმე მცხოვრებლის სახლი ჩამოუნგრევია და დღესაც მისდგომია ათიოდე ოჯახს, ასე რომ შეუძლებელია დღე-დღეზედ ეს ათიოდე ოჯახის სახლებიც არ ჩამოინგრეს.

გასაკვირველი ეს არის, რომ ამ სახლების მცხოვრებნი თითქო ვერა ხედავენ—თუ ამათ კარებს რა უბედურება არის მიმდგარი. უეჭველია რომ, თუ წყალ-დიდობამდინ ეს ხალხი ამ შენობაში დარჩა, მთლათ წაიღებს.

ერთის მხრით ხომ ეს მაკვირვებს, რომ აქ მცხოვრებნი თავიანთ უბედურებას ვერა ხედამენ; მეორე მხრითაც ეს არის გასაკვირველი,—უფალი გორის უეზდის არხიტექტორი ბაროვსკი რატომ არა შინჯამს ამ ადგილს და არ აუკრძალამს ხალხს აქ ცხოვრებას?

მაგრამ რას ვამბობ? უფ. არხიტექტორმა კარგათ იცის, რომ თუ მცხოვრებლებს გამოიყვანს, ისინი არას მისცემენ; ის არ ეყოფათ—თავიანთ ძვირფასათ ნასყიდს მამულებს გამოეთხოვონ, და ლიახვისაგანაც რას მიიღებს!

დღეს რომ ასი თუმანიც დახარჯონ მცხოვრებლებმა, ამ ადგილს ველარ გაამაგრებენ და რაკი ასე არის, უმჯობესი იქნება, ეხლავე გადავიდნენ ან გადაიყვანონ იქიდამ მცხოვრებლები.

ცხინვალს სხვა შეწუხებაცა აქვს: თითქმის 500 კომლამდინ მცხოვრები არიან აქა და ერთი ექიმი არა ჰყავთ.

როგორც აქაურ მცხოვრებლებს ვიცნობ, ადვილად შეუძლიანთ წელიწადში 1000 მანეთი მისცენ, საკომლოთ ორი მანეთი შეხვდებათ, და ერთი ექიმი იყოლიონ, და თუ ამათში რამდენიმე ლარიბი არის და ამ ფულის გაღება არ შეუძლიან, მაგიერად დაჭეშმარიტებით ვიცი, რომ აქ ორასი კომლი იმისთანა გამოირჩევა, რომელთათვის თითო თუმანიც არაფერი ფულია და არა მგონია, დიდი ზიანი მოუვიდეთ, რომ ერთი ექიმი შეინახონ.

ამ დღეებში აქ სუდია-მამასახლისის არჩევას აპირებენ და რამდენიმემ დამარწმუნა—ეხლა ხალხი ბევრი შევიყრებით და უთუოთ მაშინ მოვახერხებთო, რომ ექიმი მოვიყვანოთო. და თუ ეს შეასრულეს, სწორეთ კარგი საქმე მოუვათ, რადგანაც ამ უექიმობით მე ზედმიწევნით ვიცი აქ ბევრი დახოცილა...

თუმცა გაზეთებიდამ სჩანს, რომ რკინის გზა უნდა გაკეთდესო ვლადიკავკაზამდინ ცხინვალზედაო და ეს რომ სწორეთაც მართალი იყოს, მაინც დაიგვიანებს, და ამის გამო კარგა ხნის დაწყობილი აქ შოსსეს გზა რომ ჩქარა შესრულდეს ცხინვალამდინ, არ იქნება ურიგო. აქ დიდი ცდა არ უნდა, ხრეში გორიდამ ცხინვალამდინ სულ აყრია გზაზედ; მხოლოთ ეს ხრეში გაუშლელია და რამდენიმე ალაგას პატარ-პატარა ხიდები უნდა.

ცხინვალს რომ მიუახლოვდებით ჩასასვლელს დაღმართში, ზემოდამ ჩამონგრეული ძველის-ძველი ქვა და კირი არის შადუღებულ სამი ოთხ-კუთხი საჟენის ოდენა და ჩამვლელს ურემს უშლის; ამის დანგრევა არაფერი საძნელო არის, მამასახლისსაც შეუძლიან, თუ მოინდომა გზირებითაც დაანგრევს.

ერთს ცხინვალის ამბავს მოგახსენებთ: ამ თვეში სამი ქალის შემწეობით: კნეინა ეფემია მაჩაბლისა, ქეთევან ყურულისა და დარია ხეთაგურისა ათი თუმანი მოგროვდა დაჭრილების სასარგებლოთ და აი ამ რიგათ: დარია ხეთაგურისა კვირაში ერთ ვეჩერს მართავდა თავის სახლში, ბილეთი აბაზი იყო ვინც შევიდოდა, და იმოდენა ხალხი იკრიფებოდა, ათ თუმნამდინ შეგროვდა. მაგრამ ფული, საუბედუროთ, ჯერ კიდევ ცხინვალში არის ამავე პირებთან, რადგან ადრესი არ ვიცითო, სად გაუგზავნოთო, და ამისათვის ინახვენ! თუმცა მე უჩვენე ნამდვილი ადრესი მაგრამ ვაი თუ არ მენდვნენ, ვინ იცის ადამიანის ფიქრი, და თქვენ გთხოვთ, უ. რედაქტორო, ნამდვილი ადრესი თქვენის გაზეთით აცნობოთ—სად გამოგზავნონ ეს ფული*).

აქაურ ვაჭრებზე თუმცა ბევრი რამა მაქვს სათქმელი, მაგრამ ამ დროებით გადავდებ. მხოლოთ ამას ვიტყვი: ერთს ვაჭარს არა აქვს აქა სწორე სასწორი, საწონი და ღვინის საწყავო; აქაური პრისტავი თუმცა ცდილობას გამოაცვლევინოს, მაგრამ, როგორც ეტყობა, ასე ესენი არ გამოსცვლიან; კანონიერათ თუ მოსთხოვს, ერთ კვირაში გაჩვენებთ ყველას სწორე საწონი და სასწყაოები ჰქონდეთ.

ა. თუთაევი

---

*) აი ადრესი: Окружное Управленіе для пособія раненнымъ и больнымъ воинамъ, ანუ რომელიც გნებავთ თფილისის გაზეთის რედაქციის სახელობაზე. რედ.

# ნარევი

ამ ომიანობამ მუზიკოსებზედაც კი იქონია აღმტაცებელი ზედ-მოქმედება: ერთმა ჩვენი ქალაქის მუზიკოსმა არტაანის აღების შემდეგ დასწერა მარში, სახელად „არტაანის მარში“; მეორემ დაწერა ახლა „ყარსის ვალსი“ და მესამემ „მუხთარ-ფაშის კადრილი!...“

* * *

ესპანიიდამ იწერებიან, რომ იქაურ პოლიციას აღმოუჩენია შეთქმულობა, რომელშიაც რამდენსამე პირს ჰქონია მონაწილეობა და რომლის განზრახვა ყოფილა, რომ მადრიდის თეატრის ქვეშ ლაღმები გაეკეთებინათ და როცა იქ ესპანიის კოროლი ალფონსი მეთორმეტე შევიდოდა, აეფეთქათ ლაღმი, დაენგრიათ მთელი ეს თეატრი რომ ამნაირად კოროლიც გამოტნეულიყო და მომკვდარიყო.

* * *

ბერლინში დაატუსაღეს ამას წინათ ერთი პოლშელი, გვარად ლისოვსკი, რომელიც, როგორც პოლიციას მოუვიდა საიდუმლო ცნობა, იმიტომ მისულა ამ ქალაქში, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი და იმის მარჯვენა ხელი—თ. ბისმარკი მოეკლა. მაგრამ, როცა ამ კაცს ჩვენებმა ჩამოართვეს, აღმოჩნდა, რომ ის სრულებით ლისოვსკი არ ყოფილა გვარად და ჰაზრშიაც არ მოსვლია ვისმეს მოკვლა; ის ემალებოდა თურმე პოლიციას იმიტომ, რომ ყალბი ქაღალდების შედგენისათვის, დიდი ხანია უნდოდათ იმის დაჭერა.

---

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათიდან.

**ორშაბათს:** ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**სამშაბათს:** ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

**ოთხშაბათს:** ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგან ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

**შაბათს:** ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფი., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

---

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდინ —დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშააკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

# განცხადებანი

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „ცოლი ვიტირო თუ ფული?“ ოთხ-მოქმედებიანი კომედია უფ. ალ. ა. თუთაევისა

ჩაის მაღაზია

## პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა გალოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომმართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჟდენ ბედინიძე

## სასესხებელი
მიეცემა
## ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულსკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში, ისყიდება იგავნი კრილოვისა, თარგმნილი ქართულად თ. მიხ. გეგუთოვისაგან.

პატივი მაქვს გამოუცხადო თფილისის საზოგადოებას, რომ მე ვაკეთებ საუკეთესო შავსა და ფერად-ფერად

**მელანს** და აგრეთვე ვყიდი წალებისა და ეკიპაჟების ბორბლებისათვის ისეთს **მაზს** რომ წყალი ვერ გაატანს. ერთს ბოთლს მელანს ვყიდი უბოთლოთ 50 კაპ, ბოთლიანათ 60 კაპ.

მსურველს შეუძლია ამ ადრესით მიმმართოს: არწრუნის ქარვასლაში, № 85

სტეფან ხუდადოვი

მასწავლებელს ქალს ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები მოსამზადებელად პირველის და მეორის კლასისათვის.

ადრესი: მთაწმინდის ქუჩა, საბინ--ზუსიის სახლებში, № 13.

ხელის-მოწერა
ყოველ-დღიურ პოლიტიკურს გაზეთზე

## „ОБЗОРЪ“ (მიმოხილვა)

მომავალი 1878 წლის 1 იანვრიდამ თფილისში გამოიცემა მუდამ-დღიური დიდი გაზეთი „Обзоръ“.

ხელ-მოსაწერი ფასი გაგზავნითა და მიტანით, წელიწადში 15 მან; ნახევარ წელიწადში—8 მან; სამ თვეში—4 მან. და 25 კაპ. და თვეში 1 მან. და 50 კაპ. შეიძლება ხუთ-ხუთ მანეთობით შემოტანა ფულისა იანვრის, აპრილისა და აგვისტოს დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდთან, ა. ზუბალოვის სახლებში; ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესით დაიბარებენ გაზეთს: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газеты „Обзоръ“.*

რედაქტორი ნ. ნიკოლაძე
ადმინისტრატორი პ. იზმაილოვი
(3—2)

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი. | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია. | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 1 გიორ. | | |
| ერთი ჰანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 252 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7% | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | 50 |
| მოგებიანი (პირველის სეს.) | 221 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 215 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ, ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის (5½) | 85 | 25 |
| მოსკოვის (5%) | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკაზის და მერკური | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 16 გიორგობ | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი | 1 | 80 |
| ქერი ფუთი | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 50 |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | — |
| —თარაქამისა ფთ. | 3 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი | 6 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 10 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 15 | 60 |
| ღვინო კახურისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრაი | — | 60 |
| სპირტი, გრადუსი | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 10 | — |
| —ფხვნილი ფუთი | 8 | — |
| ყავა გრგვალი, ფუთი | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 8 | 18 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Ноября 1877 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.